აბსტრაქტი

კვლევა მოიცავს მისტიკის ჟანრისა და ამ ჟანრში სხვადასხვა კინოხერხის ჩამოყალიბების ტენდენციების ანალიზს, რაც განიხილება მაყურებლისთვის ცნობილი კინოგმირების მაგალითზე, რომელთა სახეები, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით მეორდება ფილმიდან ფილმში. კვლევის თემაა ასევე მაყურებლის მოთხოვნილების ფსიქომახასიათებლებისა და მისტიკის ჟანრის ცვლილებების ანალიზი დროსთან მიმართებაში, რაც ხშირად სწორედ პერსონაჟებში იჩენს თავს.

გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ კინოხელოვნებაში პერსონაჟი წარმოსახვის და შემოქმედებითი კონცეფციის სახედ მოიაზრება, არჩევანი შევაჩერეთ სამ ფენომენზე: Freak show, სადაც გამოვყავით ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდების ბედისწერის საფუძველზე წარმოქმნილი მისტიური სიუჟეტების ტენდენციები და მახასიათებლები; ალქაჯი - ქალის პორტრეტი მისტიკურ ჟანრში და მასთან დაკავშირებული ვიზუალური თხრობის მახასიათებლები კინოში; ვამპირი - ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ხასიათი - კაცის სახე კინემატოგრაფში, მისთვის დამახასიათებელი თვისებებითა და ტენდენციებით.

კვლევა ეფუძნება კონკრეტულ თემასა და ცნობილ პერსონაჟებზე გადაღებული ფილმების ანალიზს, მათში პერსონაჟების მახასიათებლების და ხერხების აღმოჩენას. ეს მეთოდი გამოავლენს მისტიკის პერსონაჟთა მახასიათებლებს და მაყურებელზე მძაფრი ზემოქმედების მიზეზებს. ასევე გამოკვეთს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი სიუჟეტური თხრობის და ვიზუალიზაციის თავისებურებებს.

კვლევის მიზანია, შედეგების საფუძველზე, არა მხოლოდ მისტიკის ჟანრის და მისტიკის ელემენტების კრიზისის მიზეზი წამოვწიოთ ქართულ რეალობაში, არამედ ამ ჟანრის მნიშვნელობაც განვმარტოთ. გამოვყოთ მისი მნიშვნელობა კინემატოგრაფიული პროცესისთვის. ასევე, თვალსაჩინო გავხადოთ კვლევაში მოყვანილი პერსონაჟების ინტეგრირების გზა, ან მათი ინტერპრეტაცია თანამედროვე ქართული კინოს გზით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მისტიკა, მისტიფიცირება, მისტიკის ჟანრი, Freak show, ალქაჯი, ვამპირი, კანონზომიერება, კინოხერხები, ტენდენციები.